

შეზღუდული პასუხისმეზლობის საზოგადოება „ბურჟი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2017 წლის დასრულებული წლისათვის

თბილისი 2019 წლის 28 თებერვალი

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის-----2-3

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში-----4-6

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ინდივიდუალური ანგარიში -----7

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიში -----8

ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიში-----9

კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიში-----10

ზოგადი ინფორმაცია -----11

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----11-47

მმართველობითი ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა -----48-56

დანართი-----57-74

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ოფიციალური წერილი მოვამზადეთ თქვენ მიერ ჩატარებულ, შპს „ბურჯი“-ს 2017 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, რომლის მიზანია, აუდიტორების მოსაზრების გამოხატვა იმის შესახებ, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ვადასტურებთ, რომ:

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება

- შევასრულეთ ჩვენი ვალდებულებები, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ამას ითვალისწინებდა 2018 წლის 25 ივნისს მხარეებს შორის გაფორმებული სტანდარტული პირობები # სპ 02/18 და გარიგების წერილი გწ-სპ-02/18. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია სამართლიანად აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად
- სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის ჩვენ მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები გონივრულია. დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები და ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად არის აღრიცხული და განმარტებით შენიშვნებში ასახული.
- ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი ყველა მოვლენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან განმარტებით შენიშვნებში ასახვას, შესაბამისად იქნა გათვალისწინებული.
- შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, არც ცალ-ცალკე და არც ერთობლიობაში, არსებითი არ არის.
- კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულების ყველა ასპექტი, რომლის დარღვევასაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- კომპანიას ადეკვატური საკუთრების უფლება გააჩნია ყველა აქტივზე; ადგილი არ ჰქონია კომპანიის აქტივებზე ყადაღის დადების შემთხვევას, ან კომპანიის აქტივების დატვირთვას სხვა სახით,
- , სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგი ასახულია ისეთი თანხით, რაც არ აღემატება სარეალიზაციო ღირებულებას;
- ინვენტარიზაციის დროს ადგილი ჰქონდა გრძელვადიანი აქტივების შეფასება გაუფასურებაზე და ჩამოწერას.

აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაცია

- ჩვენ თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ:
 - ჩვენთვის ცნობილი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის შესაფერისი ყველა ინფორმაცია, როგორცაა, მაგალითად, სააღრიცხვო ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;
 - თქვენ მიერ აუდიტის მიზნებისათვის მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია; და
 - კომპანიაში იმ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტის შესაძლებლობა, ვისგანაც, თქვენი აზრით, მიზანშეწონილი იყო აუდიტორული მტკიცებულებების მიღება.
- ყველა ოპერაცია ასახულია სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოგაწოდეთ ჩვენი შეფასების შედეგები იმის რისკისა, რომ თაღლითობის გამო შეიძლება ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარი იყოს;
- გაგიმჟღავნეთ ჩვენთვის ცნობილი სრული ინფორმაცია თაღლითობასთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებით, რასაც შეეძლო გავლენის მოხდენა სამეურნეო სუბიექტზე და რაშიც მონაწილეობდნენ:
 - ხელმძღვანელობა;
 - თანამშრომლები, რომლებიც შიდა კონტროლთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ; ან
 - სხვები, როდესაც თაღლითობას შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- გაგიმჟღავნეთ თაღლითობის ბრალდებებთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებული ყველაწარმოადგენი ინფორმაცია, რომელიც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახდენს გავლენას და გვაცნობებს თანამშრომლებმა, ყოფილმა თანამშრომლებმა, ანალიტიკოსებმა, მარეგულირებელმა ორგანოებმა და სხვებმა;

2017 წლის დასრულებული წლისათვის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

- გაცნობით კანონმდებლობის დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ყველა ცნობილი შემთხვევა, რომელთა გავლენა გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;
- გაგვიმზადეთ ჩვენთვის ცნობილი, სამეურნეო სუბიექტის დაკავშირებული მხარეების ვინაობა და გაცნობით დაკავშირებულ მხარეთა ყველა ურთიერთობისა და ოპერაციის შესახებ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე; • ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას; • დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიას ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე; • კომპანიას მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიას გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიას ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას; • სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ფასს-ის შესაბამისად; • კომპანიას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და • თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 28,02,2019 წ

ხელმძღვანელობის სახელით:

პატივისცემით,

დირექტორი

მთ ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბურჯი“-ს დამფუძნებლებს

აუდიტორული დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბურჯი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან და მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშგებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ბურჯი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფას-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „ბურჯი“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც წარმოდგენილია საქმიანობის მიმოხილვის სახით და შედგება აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლებისგან. საქმიანობის მიმოხილვა არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

სხვა გარემოებები

შპს „ბურჯი“-ს 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ბურჯი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ბურჯი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს „ბურჯი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ ბურჯი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შესაბამისი.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

ნონა ხომერიკი

სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-805445

აუდიტორული ფირმა ენ ბი აი აუთსორსინგ-კონსალტინგი“-ის სახელით

28,02, 2019 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
(ლარი)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	1	73,207,823	47,974,184
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	2	(66,963,164)	(43,904,003)
საერთო მოგება		6,244,659	4,070,181
სხვა შემოსავალი	3	222,803	53,477
კომერციული ხარჯები	4	(15,895)	(61,077)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(3,778,253)	(3,250,938)
სხვა ხარჯები	6	(302,566)	(883,241)
ვალუტის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება/ზარალი	7	37,122	(5,346,264)
ფინანსური(ხარჯი)შემოსავალი, ნეტო	8	(517,312)	(1,116,077)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		1,890,558	(6,533,939)
მოგების გადასახადის შემოსავალი/ხარჯი			
წლის მოგება/ზარალი		1,890,558	(6,533,939)
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის მოგება/ზარალი		1,890,558	(6,533,939)

დირექტორი

მთ ბუღალტერი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	14,151,176	14,678,844
არამატერიალური აქტივები	10	27,761	32,137
გრძელვადიანი მოთხოვნები	11	1,321,194	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,500,131	14,710,981
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	19,876,992	42,179,566
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	30,440,642	9,963,280
წინასწარ გადახდილი გადასახადები	14		1,233,538
ფული და ფულის ექვივალენტები	15	713,980	854,110
სულ მიმდინარე აქტივები		51,031,614	54,230,494
სულ აქტივები		66,531,745	68,941,475
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		79,328,206	79,113,168
წინა წლების დაუფარავი ზარალი		(51,584,660)	(45,050,721)
საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი		1,890,558	(6,533,939)
სულ კაპიტალი		29,634,104	27,528,508
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	16	24,881,726	25,953,912
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		24,881,726	25,953,912
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	8,391,940	15,459,055
საგადასახადო ვალდებულებები	18	3,623,975	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,015,915	15,459,055
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		66,531,745	68,941,475

დირექტორი

მთ ბუღალტერი

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(პირდაპირი მეთოდი) (ლარი)

	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი შემოსავლები	46 493 345	48 977 140
სხვა შემოსავლები	13 875	18
მოწოდებაზე და მომსახურებაზე გაცემული ფულადი სახსრები	(33 732 134)	(57 721 422)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(6 926 329)	(7 278 178)
სხვა ვალდებულებების შემცირება	(176 996)	(493 804)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(4 232 523)	(2 150 509)
მოგების გადასახადი		
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(591 334)	(703 937)
გადახდილი პროცენტები	(88 049)	(920 569)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	759 855	(20 291 261)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(1 281 950)	(304 428)
შემოსულობანი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან	169 021	71 699
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 112 929)	(232 729)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	215 036	-
აღებული სესხები	659 755	58 414 280
სესხის დაფარვა	(659 755)	(37 730 000)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	215 036	20 684 280
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(2 092)	1 040
მატება/კლება	(140 130)	161 330
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	854 110	692 780
ნაშთი პერიოდის ბოლოს	713 980	854 110

დირექტორი

მთ ბუღალტერი

ინდივიდუალური კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 01,01,2016	79,113,168	(45,050,721)	34,062,447
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		(6,533,939)	(6,533,939)
ნაშთი 31,12,2016	79,113,168	(51,584,660)	27,528,508
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი	-	1,890,558	1,890,558
საწესდებო კაპიტალის შემცირება/ზრდა	215,038.00		215,038
ნაშთი 31,12,2017	79,328,206	(49,694,102)	29,634,104

დირექტორი

მთ ბუღალტერი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბურჯი“ დარეგისტრირებულია (#5/4-3026) 27 ნოემბერი 2001 წელს. (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). იგი მდებარეობს ქ.თბილისში და მისი იურ./ფაქტ. მისამართია: ილია ჭავჭავაძის გამზ 39ა.

კომპანიის 100%-იან წილის მფლობელს წარმოადგენს „290339, კენიტი ოუვერსიიზ ლიმიტიდ, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.)“

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა, ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით.

2016-2017 წლებში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 640 ადამიანი

2. მომზადების საფუძველი და ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების საფუძველზე,

გასულ პერიოდებში კომპანია არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ების მიხედვით. ამიტომაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ წლიურ ანგარიშგებას, რომელიც სრულად შეესაბამება „ფასს“-ის მოთხოვნებს. „ფასს“-ებზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 01 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ (დისკონტირებული) ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებენ, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში

ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოსა და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

გამოშვებული ყველა ახალი ან გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლის გამოყენება სავალდებულო იყო 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამებოდა კომპანიის ოპერაციებს.

სტანდარტები და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე: შესწორებები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაზე მოცემულ თანხებზე ახდენს ზეგავლენას

წლიური განახლებები 2014-2016

ბასს 7- 2017 წლის იანვრიდან მოქმედი ცვლილებები, მოთხოვს კომპანიის მიერ ისეთი განმარტებების გაკეთებას, რომელიც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა , როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ცვლილება.

კომპანიაში ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს ინფორმაცია ამ ერთეულების საწყისი და ბოლო ნაშთების შედარების თაობაზე მოცემულია შენიშვნაში 16-ში. შესწორებათა გარდამავალი მუხლების შესაბამისად, კომპანიამ წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. გარდა ზემოთ აღნიშნული განმარტებისა, შესწორების ამოქმედებას კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია .

ახალი და შესწორებული, სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაში ჯერ არ შესულა

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში, რომელთა გამოყენება კომპანიის მიერ მოქმედების დაწყებამდე არ განუხორციელებია და რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

• ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - (ცვლილებები ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, დაშვებულია მისი ვადამდელი გამოყენება);

• ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (ცვლილებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, დაშვებულია ვადამდელი გამოყენება);

• ფასს 16 - იჯარა (-ცვლილებები ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, დაშვებულია ვადამდელი გამოყენება);

• ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება (ცვლილებები ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, დაშვებულია ვადამდელი გამოყენება);

• ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება (ცვლილებები ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, დაშვებულია ვადამდელი გამოყენება);

. შესწორება ფასს 9 - საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით (ცვლილებები ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, დაშვებულია ვადამდელი გამოყენება);

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი (ცვლილებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, დაშვებულია ვადამდელი გამოყენება);
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი (ცვლილებები ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, დაშვებულია ვადამდელი გამოყენება);

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ -ცვლილებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, დაშვებული მისი ვადამდელი გამოყენება

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. მისი ძირითადი მოთხოვნებია:

ფინანსური აქტივი, რომელიც ფასს 9-ის მოქმედების არეალში ხვდება, თავდაპირველად უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების ამოღებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ იზომება ამორტიზებული ღირებულებით. მეორე კატეგორიაა სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების ამოღებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით, აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც მხოლოდ ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებს წარმოადგენს. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალურ ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა თუ პირობითი ანაზღაურებისა, რომელსაც ბიზნეს-კომბინაციაში შემსყიდველი აღიარებს) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდის სახით შემოსავლები ასახოს.

ფინანსური ვალდებულებები ისევ ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკუთარი საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოადგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ამგვარი ცვლილების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში არ შექმნის ან გაზრდის საბუღალტრო შეუსაბამობას მოგება-

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის მიხედვით, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა აისახება მოგება-ზარალში.

გაუფასურება - ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, ფასს 9 მოითხოვს ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი, საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ გაუფასურების ხდომილება უსწრებდეს.

ჰეჯირების აღრიცხვა. შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებას მეწარმის რისკის მარ-თვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია წინამდებარე ცვლილებების ზეგავლენა კომპანიას ფინანსური აქტივებსა და ფინანსური ვალდებულებებზე.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან - მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა ან/და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახმა-განმარტებითი შენიშვნები

წინამდებარე ფასს-ის მიხედვით პირი შემოსავალს აღიარებს, მაშინ როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დამატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 15-ის განმარტებები, რომელიც უკავშირდება ფინანსური შედეგების ნაკისრი ვალდებულებების იდენტიფიკაციას, ძირითად ანაზღაურებასა და აგენტის ანაზღაურებას, აგრეთვე ლიცენზირების გამოყენებას.

ხელმძღვანელობას ჯერ სარწმუნოდ არ შეუფასებია ფასს 15-ის ეფექტი კომპანიას ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების ინდივიდუალურ ანგარიშგებებზე.

ფასს 16 - იჯარა. აღნიშნული სტანდარტი აუქმებს ბასს -17-ს და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ახალი სტანდარტით იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად, ხოლო გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა . აღნიშნული არ ეხება დაბალირებულებიანი აქტივების იჯარებასა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

ფასს 16, როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა ამჟამად აფასებს ფასს 16-ის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფაისკ 22 საგალუტო ოპერაციები და საფანსო ანაზღაურება- განმარტავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს „ტრანზაქციის თარიღი“ აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გაცვლითი კურსის დაფიქსირების მიზნით, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება იხდება ან მიიღება ავანსად უცხოურ ვალუტაში და ამ ქმედებამ გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, აუნაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

აღიარება. ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანიამ თავდაპირველად აღიარა არაფულადი აქტივი ან არაფულადი ვალდებულება ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. ავანსის რამდენიმე ნაწილად გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღად დაადგინოს ავანსის თითოეული გადახდის ან მიღების დღე. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ფასი 23 - მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება-განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან: • დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და • შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო გაანგარიშების ფორმას: • თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნაგარუდები ბუღალტრული გაანგარიშების შესაბამისად. • უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია ამჟამად იყენებს შესაბამის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციების აღიარების ფასი 23-ში მითითებული მიდგომის პრინციპებს.

შესწორებები ფასი 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით-მიზნად ისახავს იმ გაუთვალისწინებელი შედეგების გამოსწორებას, რაც „გონივრული დამატებითი ანაზღაურების“ ცნების შემოტანამ მოიტანა. შესწორებების მიხედვით, შესაძლებელია, თუ რამდენიმე კონკრეტული კრიტერიუმი დაკმაყოფილდა, ისეთი წინასწარი გადახდის უფლების მქონე ფინანსურმა აქტივებმა, რომლის მიხედვით უფლების მფლობელმა შეიძლება მიიღოს ანაზღაურება ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, დააკმაყოფილოს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ პირობა. გარდა ამისა, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე განიხილა იმ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი, რომლებიც მოდიფიცირდება ან გაიცვლება მათი ჩამოწერის გარეშე და, შედეგად, შედის ამ საკითხს მიძღვნილ ორ პარაგრაფში სათაურით „დასკვნის საფუძველი“. ამ პარაგრაფებში საბჭო აცხადებს, რომ ამგვარი შემთხვევების ბუღალტრული დამუშავება ისეთივეა, როგორც ფინანსური აქტივის მოდიფიცირების შემთხვევაში. თუ მთლიანი საბალანსო ღირებულება შეიცვალა, ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს მოგების ან ზარალის ასახვას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფას-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს სამ სტანდარტში. კერძოდ: შესწორებები ფასი 1-ის მიხედვით, საწარმოები აღარ არიან განთავისუფლებული იმ შენიშვნების წარდგენისგან, რომლებიც ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს, თანამშრომელთა სარგებელს და საინვესტიციო საწარმოებს, ვინაიდან აღნიშნული განთავისუფლება აღარ არის ძალაში. შესწორება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფასს I ში ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ხელმძღვანელობა თვლის რომ აღნიშნულ შესწორებას ზეგავლენას არ მოახდენს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წლებში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.** ვერ დგინდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებულ ბაზარზე დაყრდნობით, ისინი დგინდება შეფასების სხვადასხვა ტექნიკით და მსჯელობით.
- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ ამორტიზაციის დარიცხვისას სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელების შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას.
- **მიღებული სესხები** 2017 წელს კომპანიის აქვს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები VENIGEN MANAGEMENT LIMITED-ის მიმართ. ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე საქართველოს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების საშუალო მაჩვენებელი აღნიშნულის მიუხედავად, ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ საპროცენტო განაკვეთი არსებითად წარმოადგენდა საბაზრო განაკვეთს იმის გათვალისწინებით, რომ იგი აკმაყოფილებდა სატრანსფერო ფასწარმოქმნის პარამეტრებს და ხასიათდებოდა არსებითად განსხვავებული საკრედიტო რისკით. საპროცენტო განაკვეთის სამართლიან შეფასებას არსებითი გავლენა აქვს ნასესხები სახსრების ღირებულებაზე მათი აღიარებისას.
- **გადასახადები** საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და მისი ცალკეული მუხლების ბუნდოვანება, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს, რიც გამოცემა საგადასახადო ორგანოებმა შემოწმებისას შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ ცალკეული გარიგებები და ოპერაციები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს საგადასახადო შემოწმებისას შესაძლო ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის რისკები, თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული გაანგარიშებები ადეკვატურია ყველა არაუდირებელი წლისათვის, მაგრამ ზემოთ არნიშნული მიდგომა არ გამორიცხავს საგადასახადო შემოწმებისას გარკვეული დამატებითი საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნას.
- **საეჭვო მოთხოვნების რეზერვი-** ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებიდან თანხების ამოღება. თუ მსხვილი კლიენტის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი, ან ფაქტობრივად დეფოლტი უფრო მაღალია ვიდრე მოსალოდნელი იყო, ფაქტობრივი სავაჭრო მოთხოვნები შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებისგან. კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე (მე-13 შენიშვნა).

- **მოძველებული და ვადაგასული მარაგების რეზერვი** -გამოყენების ვადის ამოწურვას მიახლოებული და ტექნოლოგიების ცვლილების შედეგად მოძველებული მარაგების რეზერვი იქმნება ხელმძღვანელობის შეფასებით.
- **სასამართლო დავები.** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მხოლოდ მიმდინარე ვალდებულება ან მოთხოვნა წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, როცა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გადაცემის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. ისეთ შემთხვევაში, როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში. (იხ შენიშვნა 19) ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანია განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს იმ მიზნით, რომ შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი გარემოებები და პოტენციური მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, რისთვისაც ხელმძღვანელობა განიხილავს იურიდიული მრჩეველების მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომელიც ეფუძნება მსგავსი საქმეების წარმოების გამოცდილებასა და კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებას დავაზე, საჩივარსა და გარჩევაზე რეაგირების

სააღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში

ფუნქციონირებადი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ასევე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად.

იმ არაფულადი მუხლების გაანგარიშება, რომლებიც უცხოურ ვალუტაში აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.. პირვანდელი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში ასახული არამონეტარული ერთეულები არ კონვერტირდება.

2016 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
კურსი 31,12,2016	2,6468	2,794	3,2579
კურსი 31,12,2017	2,5922	3,1044	3,5005

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

კომპანია შემოსავალს იღებს სამშენებლო კონტრაქტებიდან, საქონლის რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან და საოპერაციო საიჯარო გადასახადებისაგან

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან ტრაქტები - შემოსავალი და ხარჯები აღიარდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამშენებლო საქმიანობის დასრულების ეტაპის მიხედვით, როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის მიღების შეფასება დადასტურებულად არის შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონტრაქტო შემოსავალი აღიარდება იმ ხარჯების ოდენობით, რომელთა ამოღებაც სავარაუდოა. საკონტრაქტო ხარჯები ასეთად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

საკონტრაქტო სამუშაოების ცვლილება, სხვადასხვა სახის პრეტენზიები და წამახალისებელი გადახდები გაითვალისწინება მაშინ, თუ არსებობს დადასტურებული მტკიცება მათ რეალურ მიღებაზე.

როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი საკონტრაქტო ხარჯი საკონტრაქტო შემოსავალს გადააჭარბებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება- ხდება რეალური ღირებულებით როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი- აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, მაშინ, როცა მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი, კერძოდ თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), ამონაგების თანხა განისაზღვრება მიღებული საქონლისა და მოსახურების რეალური ღირებულების მიხედვით. კორექტირება ხდება გადაცემული ფულის ან ფულადი სახსრების ექვივალენტის თანხით. თუ შეუძლებელია მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგების თანხის ფასდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემდგომ კორექტირდება მიღებული ფულის ან ფულადის სახსრების ექვივალენტების თანხის მიხედვით.

საიჯარო შემოსავალი. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის მოლაპარაკება-გაფორმებასთან დაკავშირებული საწყისი პირდაპირი ხარჯები ემატება გაქირავებული აქტივის საბალანსო ღირებულებას და წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში.

საიჯარო შემოსავალი, კომპანია, ღებულობს შემოსავლებს საოპერაციო იჯარიდან. შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების ბსაფუძველზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

ხარჯები სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის ღირებულების მოთხივნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარა

კომპანია ახდენს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსური და საოპერაციო იჯარად.

ფინანსური იჯარის დროს უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარდება როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულებასა და გაანგარიშებულ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების განაწილება პირობით საიჯარო გადასახდელებად და დაუფარავ ვალდებულებად ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

საოპერაციო იჯარის დროს საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ხარჯის უმეტესი ნაწილი მონაწილეობას იღებს მარაგების თვითღირებულების ფორმირებაში.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასი, ბონუსები, შვებულება ავადმყოფობის გამო დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგებლობის დროს. მათი ანაზღაურება ხდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები.

ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება არ ნაზღაურდება მომავალ პერიოდებში, ამიტომაც არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ პროცენტს, გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს და საკურსო მოგებასა და ზარალს, რომლებიც ნასესხები სახსრებიდან და ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან გამომდინარეობს.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი ღირებულებისას აფასებს თვითღირებულებით. ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის მიმდინარე გადასახდელი თანხის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის, აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება არ მოიცავს: ახლი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯებს; ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯებს (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯების ჩათვლით); ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ კლასთან ბიზნესის წარმოების დანახარჯებს (პერსონალის სწავლების ჩათვლით); დ) ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ზედნადებ დანახარჯებს

ძირითადი საშუალებების შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი**სასარგებლო მომსახურების პერიოდი**

შენობა-ნაგებობები	20-25 წელი;
მანქანა-დანადგარები	5-20 წელი;
ოფისის აღჭურვილობა	5-15 წელი
ავეჯი	6-15 წელი
სხვა ინვენტარი	4-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-20 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	6-20 წელი

ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურების ინდიკატორს, რათა უზრუნველყოს, რომ აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახოს ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხა. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.

საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

კომპენსაცია, რომელიც საწარმოს მისაღები აქვს მესამე მხარეებისაგან, დაზიანების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, მოგება/ზარალში ამ მოთხოვნის წარმოშობის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

არამატერიალური აქტივები

შედენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივი

სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპიუტერული პროგრამები

10-17 წელი

ლივენზია

4-6 წელი

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში აღიარდება პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

საწარმოს არ ევალება მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში კუთვნილი ინვესტიციის აღრიცხვა წილობრივი მეთოდით, თუ იგი წარმოადგენს მშობელ საწარმოს, რომელიც განთავისუფლებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მოთხოვნისგან იმის გამო, რომ არ განეკუთვნება ფასს 10-ის მოქმედების სფეროს, ფასს 10-ის 4(ა) პუნქტის თანახმად,

მარაგები

კომპანიაში მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უნცირესი თანხით, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად..

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულორების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით კომპანია წლის განმავლობაში რეგულარულად ახდენს მარაგების შეფასებას გაუფასურების დადგენის მიზნით, რისთვისაც გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ხდება არალიკვიდური მარაგების ანალიზი და ტარდება ინვენტარიზაციის პროცედურა, ხოლო მოძველებული და ვადაგასული ერთეულები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო- მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

ავანსები.

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. შესაბამისად, კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის. გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის

დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით მიღებული მოგების კომპანიაში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდი გაცემის დროს. ასევე მოგების დაიბეგრება ინდივიდუალური ტრანსაქციები და ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება პროპორციით 15 პროცენტით. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოადგენენ მუდმივ სხვაობას და არ წარმოქმნიან გადავადებული მოგების გადასახადის წარმოქმნის პირობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადი მიმდინარე ხარჯები არ კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით,

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის.

ასევე ვინაიდან მოგების გადასახადში ცვლილებების თარიღად განისაზღვრებოდა 2017 წლის 01 იანვარი, საწარმოს არ განუხორციელებია 2016 წლის გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა თუ ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. ეს რეზერვი ირიცხება, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას ეკისრება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სანდოდ შეფასება. თუ ეფექტი დიდია, რეზერვი განისაზღვრება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიურ რისკებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.

გარიგების ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოს, მარეგულირებელ სამსახურებში და ბირჟებზე გადახდილ მოსაკრებლებს, აგრეთვე ქონების გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ ხარჯებს.

გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულება ფასდება თანხით, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ამორტიზებული ღირებულება - თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით,

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ხდება ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი სახსრების დისკონტირება პროცენტის გადათვლის შემდგომ დღემდე. აღნიშნული არ ვრცელდება პრემიუმებზე და ფასდათმობებზე, რომლებიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი სავარაუდო მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ყველა ურთიერთ გადახდილი ან მიღებული საკომისიო იმ კონტრაქტის მხარეებს შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია ფული და ფულის ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სახით.

კომპანიის მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს. ფული და ფულის ეკვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსულობების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით. მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საექვო ვალების რეზერვი.

მოვალეობის უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო ზარალის შეფასება არსებითად განსხვავებული არ იქნება შემდგომში რეალური მოცულობისგან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. -ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. ფინანსური აქტივების შესწავლა გაუფასურებაზე ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდისათვის. თუ კომპანიამ გადაწყვეტს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივი, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, გაუფასურდა, კომპანიას ახდენს შეაქვს მსგავსი საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების შემოწმებას. გაუფასურების ხარისხის დადგენისას იყენებს შემდეგ ძირითადი ინდიკატორებს:

- აქტივის ნაწილი ვადაგადაცილებულია და გადახდის დაგვიანება ვერ აიხსნება ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული შეყოვნებით;

- კონტრაგენტი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, ;

- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;

- ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილების შედეგად, კონტრაგენტის გადახდისუნარიობა გაუარესდა ან უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა გაუარესებული საბაზრო პირობების გამო.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება და რეზერვის ანგარიში შესწორდება მოგება-ზარალის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების აღდგენის თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანიას ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც

- აქტივის გამოსყიდვა მოხდა ან მისგან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა, ან

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს (გვ. 11-47) დამტკიცებულია ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 28 თებერვალი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

- თუ კომპანიამ სხვა საწარმოს გადასცა ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან
- გააფორმა კვალიფიციური გადაცემის გარიგება, ამასთანავე, აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემით ან ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის არც გადაცემით და არც შენარჩუნებით, მაგრამ კონტროლის შენარჩუნებით. კონტროლი ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აღნიშნული აქტივი დაუკავშირებელ მესამე მხარეზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე
- არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიცირებულია მიღებულ სესხებად, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით..

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტას და ახალი ვალდებულების აღიარება. შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

სავაჭრო ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ კვავალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივს კომპანია გრძელვადიანს მიაკუთვნებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრევირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები -არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ანარიცხები - ვალდებულებად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხების აქტივად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

1. შემოსავალი

შემოსავალი 2017 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:
(ლარი)

	2017	2016
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	38 219 693	42 743 753
შემოსავალი მზა პროდუქციის და მასალების რეალიზაციიდან	32 653 445	3 051 926
შემოსავალი ქონების იჯარით გაცემიდან	679 871	807 412
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1 614 691	1 344 598
სხვა საოპერაციო შემოსავალი	40 123	26 495
სულ	73 207 823	47 974 184

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული თვითღირებულება 2017 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:
(ლარი)

	2017	2016
სამშენებლო კონტრაქტების შესრულების თვითღირებულება	(36 364 891)	(40 422 608)
რეალიზებული მზა პროდუქციისა და მასალების თვითღირებულება	(30 551 511)	(3 356 306)
გაწეული მომსახურებია თვითღირებულება	(46 762)	(125 089)
სულ	(66 963 164)	(43 904 003)

შენიშვნა: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ცვეთა/ამორტიზაციას
2016 წ. - 1 081 034 ლარი
2017წ. - 1 131 555 ლარი

3. სხვა შემოსავალი

(ლარი)

სხვა შემოსავალი 2017 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	15 126	-
სხვა შემოსავალი	207 677	53477
სულ	222 803	53 477

4. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები 2017 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:
(ლარი)

	2017	2016
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	(11 631)	(50 360)
სხვა ხარჯები	(4 264)	(10 717)
სულ	(15 895)	(61 077)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
ხელფასი	(2,455,669)	(2,231,148)
საიჯარო ქირა	(85,542)	(81,414)
ექსპლუატაციის ხარჯები	-	(2,277)
კომუნალური მომსახურების ხარჯები	(77,111)	(49,210)
ტელე-საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები	(11,487)	(13,329)
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	(16,452)	(27,721)
საბანკო მომსახურების ხარჯები	(160,663)	(275,313)
საკონსულტაციო ხარჯი	(39,109)	(39,753)
ტრანსპორტის საერთო ხარჯები	(422,321)	(45,820)
საგადასახადო ხარჯი	(151,666)	(160,508)
მივლინების ხარჯები	(13,753)	(12,170)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(1,945)	(2,104)
ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯი	(194)	(1,250)
ცვეთა/ამორტიზაცია	(310,483)	(307,176)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(31,858)	(1,745)
სულ	(3,778,253)	(3,250,938)

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2017 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:
(ლარი)

	2017	2016
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	(1,403)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი		(5,470)
სამშენებლო კონტრაქტის მიხედვით წარმოქმნილი ზარალი	(1,456)	(121,284)
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	(114,570)
მარაგების გაუფასურების რეზერვი		(87,626)
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(298,309)	(496,304)
ჯარიმები და საურავები	(1,732)	(3,111)
სხვა ხარჯები	(1,069)	(3,264)
მოთხოვნებისა და ვალდებულებების კორექტირება		(50,209)
სულ	(302,566)	(883,241)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

7. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება/ზარალი

უცხოური ვალუტის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება-ზარალი 2017 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(ლარი)

	2017	2016
საკუროსო სხვაობა, შემოსულობა	1 561 079	1 013 347
საკუროსო სხვაობა ხარჯი	(1 523 957)	(6 359 611)
სულ	37 122	(5 346 264)

8. ფინანსური ხარჯი/შემოსავალი (ნეტო)

ფინანსური ხარჯი/შემოსავალი 2017 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(ლარი)

	2017	2016
დეპოზიტზე განთავსებული თანხებიდან მიღებული სარგებელი	21	15
საპროცენტო ხარჯი	(517,333)	(1,116,092)
სულ	(517,312)	(1,116,077)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(ლარი)

ისტორიული ღირებულება	ნაშთი 2016 წლის 31 იანვრისათვის	შემოსვლა	გასვლა/რეალიზაცია	ჩამოწერა/გასვლა	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის
მიწა	1,140,943	-	-	-	1,140,943
შენობები	7,959,394	-	-	-	7,959,394
მანქანა-დანადგარები	5,211,605	233,150	- 155,964	- 54,671	5,234,120
ოფისის აღჭურვილობა	200,743	5,678	- 432	- 509	205,480
ავტო	105,862	3,559	- 970	- 1,943	106,508
სხვა ინვენტარი	184,350	5,621	- 1,336	- 516	188,119
სატრანსპორტო საშუალებები	5,283,654	838,389	-	- 17,129	6,104,914
სხვა ძირითადი საშუალებები	138,702	-	-	-	138,702
სულ	20,225,253	1,086,397	-158,702	-74,768	21,078,180

დაგროვილი ცვეთა	ნაშთი 2016 წლის 31 იანვრისათვის	დარიცხული ცვეთა წლის განმავლობაში	რეალიზებული ცვეთა	გასვლა/ჩამოწ ერილის ცვეთა	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის
შენობები	- 1,072,168	- 337,186	-	-	-1,409,354
მანქანა -დანადგარები	- 1,714,945	- 609,943	29,203	20,950	-2,274,735
ოფისის აღჭურვილობა	- 99,190	- 17,643	140	-	-116,693
ავეჯი	- 77,113	- 8,066	195	181	-84,803
სხვა ინვენტარი	- 57,582	- 24,209	291	250	-81,250
სატრანსპორტო საშუალებები	- 2,461,928	- 431,833	-	6,677	-2,887,084
სხვა ძირითადი საშუალებები	- 63,483	- 9,602	-	-	-73,085
სულ	- 5,546,409	- 1,438,482	29,829	28,058	- 6,927,004

ნარჩენი ღირებულება	ნაშთი 2016 წლის 31 იანვრისათვის	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის
მიწა	1,140,943	1,140,943
შენობები	6,887,226	6,550,040
მანქანა -დანადგარები	3,496,660	2,959,385
ოფისის აღჭურვილობა	101,553	88,787
ავეჯი	28,749	21,705
სხვა ინვენტარი	126,768	106,869
სატრანსპორტო საშუალებები	2,821,726	3,217,830
სხვა ძირითადი საშუალებები	75,219	65,617
სულ	14,678,844	14,151,176

საანგარიშო პერიოდში ადგილი ქონდა რამოდენიმე აქტივის აღიარების შეწყვეტას ვინაიდან მისი გამოყენებიდან აღარ იყო მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღნიშნულ ოპერაციას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია საანგარიშო პერიოდის მოგებაზე, ვინაიდან აღნიშნულ ძირითად საშუალებები მომსახურების ვადაში მნიშვნელოვანწილად იყო გაცვეთილი არ არის დატვირთული იპოთეკითა და გირავნობით რაიმე სახის ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

10. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(ლარი)

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერი	53,436	22,092	75,528
შემოსვლა		9,403	9,403
გასვლა/ჩამოწერა		-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	53,436	31,495	84,931
დაგროვილი ამორტიზაცია			
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერი	(32,405)	(10,986)	(43,391)
დარიცხული ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(3,155)	(10,624)	(13,779)
გასვლა		-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	(35,560)	(21,610)	(57,170)
ნარჩენი ღირებულება			
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერი	21,031	11,106	32,137
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	17,876	9,885	27,761

11. გრძელვადიანი მოთხოვნები

გრძელვადიანი მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(ლარი)

	2017	2016
მომსახურების გაწევაზე გადახდილი ავანსი	941,595	
სავაჭრო მოთხოვნა	379,599	
სულ	1,321,194	-

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

12. მარაგები

მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(ლარი)

	2017	2016
ნედლეული და მასალები	18,385,910	39,629,666
დაუმთავრებელი წარმოება	1,105	697,467
მზა პროდუქცია	147,007	446,666
სხვა მარაგები	1,430,596	1,493,393
სულ მარაგები	19,964,618	42,267,192
გაუფასურების რეზერვი	(87,626)	(87,626)
სულ	19,876,992	42,179,566

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია შეიძენს მარაგებს, რომელთაც განსაზღვრული აქვს გამოყენების ვადა. კომპანიას ყოველწლიურად აფასებს მარაგებს და ქმნის რეზერვებს.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ლარი

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნა	29,958,272	1,893,696
გადახდილი ავანსები	1,271,076	8,563,034
არაფინანსური აქტივები		
სხვა მოთხოვნები	5,907	2,854
სულ მოთხოვნები	31,235,255	10,459,584
საექვო მოთხოვნათა რეზერვები	(794,613)	(496,304)
სულ	30,440,642	9,963,280

სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის მიხედვით

აუნაზღაურებელი თანხა	წარმოშობის პერიოდი
496304	2016 წლამდე წარმოქმნილი მოთხოვნები
298309	2016 წელს წარმოქმნილი მოთხოვნები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია აფასებს რა ფინანსური ინსტრუმენტებს, საანგარიშო პერიოდში ქმნის 1 წელზე მეტი ვადით აუნაზღაურებელი მოთხოვნის წარმოშობის მიხედვით, იქმნება საჭვო მოთხოვნების რეზერვი. მოცულობა გაიანგარიშება წარსული გამოცდილების საფუძველზე, რომელიც გადაიხედება რეგულარულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ვდაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული მოთხოვნები ამოღებულია.

14. წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(ლარი)

	2017	2016
საგადასახადო აქტივები		1,033,362
ჩასთვლელი დღე		200,176
სულ	-	1,233,538

წინასწარ გადახდილი გადასახადები 2016 წლის 31 დეკემბრის მოიცავს საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვისა და ბარათის წარმოების წესებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო წარმოშობილ ნაშთებს. საგადასახადო აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ჯამურად ყველა გადასახადის ნაწილში, ასევე საგადასახადო აქტივებში შედის ჩაუთვლელი დამატებით ღირებულების გადასახადი, რომლის ჩათვლის უფლება მოპოვებულია.

15. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(ლარი)

	2017	2016
ფული მომდინარე საბანკო ამგარიშზე ლარში	710,287	844,452
ფული მომდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	3,693	9,658
სულ	713,980	854,110

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

16. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიან სესხთან დალაგვშირებული ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:
(ლარი)

გამსესხებელი	პერიოდი		ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ნაშთი ვალუტაში		ნაშთი ლარში	
სესხი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი			31.12.2017	31.12.2016	31.12.2017	31.12.2016
"VENIGEN MANAGEMENT LIMITED (ს/კ 21483	15,06,2016	15,06,2019	USD	2%	\$ 9,300,000	\$ 9,700,000	24107460	25673960

	პერიოდი		ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ნაშთი ვალუტაში		ნაშთი ლარში	
გადასახდელი პროცენტი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი			31.12.2017	31.12.2016	31.12.2017	31.12.2016
"VENIGEN MANAGEMENT LIMITED (ს/კ 21483	15,06,2016	15,06,2019	USD	2%	\$ 298,691	\$ 105,770	774266	279952

	2017	2016
სესხები	24,107,460	25,673,960
გადასახდელი %	774,266	279,952
სულ	24,881,726	25,953,912

კომპანიას აღებული აქვს 3 წლიანი გრძელვადიანი სესხი, წინასწარი დაფარვის უფლებით. არსებული სესხი არ არის უზრუნველყოფილი ქონებით

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანიას გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი სს „ბანკი ქართუ“-სთან დადებული სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე. სესხის აღება და დაფარვა ხორციელდება პერიოდულად კალენდარული წლის შიგნით.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ლარი

	2017	2016
სავაჭრო ვალდებულებები	8,162,604	7,065,564
მიღებული ავანსები	34,975	8,131,084
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	194,361	262,407
სულ	8,391,940	15,459,055

18. საგადასახდო ვალდებულებები

საგადასახდო ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
ჯამური საგადასახდო ვალდებულება	3,643,141	
ჩასთვლელი დღე	(19,166)	
სულ	3,623,975	-

საგადასახდო ვალდებულებებია 2016 წლის 31 დეკემბრის მოიცავს საგადასახდო ვალდებულებების აღრიცხვისა და ბარათის წარმოების წესებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო წარმოშობილ ნაშთებს. საგადასახდო აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ჯამურად ყველა გადასახადის ნაწილში, ასევე საგადასახდო აქტივებში შედის ჩათვლილი დამატებით ღირებულების გადასახადი, რომლის ჩათვლის უფლება მოპოვებულია.

19. სასამართლო დავები

საანგარიშო პერიოდში კომპანია არ წარმოებს სასამართლო დავებს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

20, ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება ერთ-ერთი საწარმოო ბაზისა და სატრანსპორტო მომსახურების ბაზის გასხვისების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ შემოსავლების

ფორმირებაში ამ აქტივების გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი შემოსავლის 47%-ს, მომავალ საანგარიშო პერიოდში მოსალოდნელია მოგების შემცირება. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ მსგავსი ტიპის წარმოება შესაზღვრელია განხორციელოს დარჩენილი გრძელვადიანი აქტივები გამოყენებით

21, ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარეობს შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი

კომპანიაში არის რისკები რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას. ამ შენიშვნაში აღწერილია მიზნები, პოლიტიკა და პროცესები რისკების არმოსაფხვრელად და მათი შეფასების მეთოდი. უფრო დაწვრილებით ინფორმაცია ამ რისკებთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელსაც იყენებს კომპანია და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების რისკი, შემდეგია:

- ფული და ფულის ექვივალენტი
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის შემუშავებაზე.

ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, მენეჯმენტმა მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

მენეჯმენტის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკის მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საკრედიტო რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება).

სავაჭრო დებიტორული ანგარიშები-კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები. გაუფასურების ანალიზი ხდება ინდივიდუალურად ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის იხ შენიშვნა 13)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები-საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანგარიშგების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

საკრედიტო კონტროლისა და მასთან დაკავშირებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის მნიშვნელოვან დანაკარგებს მეორე მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, კომპანია აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სესხებისა და კაპიტალის ფარდობა ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ნასესხები სახსრები	<u>24,107,460</u>	<u>25,673,960</u>	<u>0</u>

2017 წლის დასრულებული წლისათვის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფული და ფულის ექვივალენტები	-713,980	-854,110	-692,780
წმინდა ნასესხები სახსრები	23,393,480	24,819,850	-692,780
საკუთარი კაპიტალი	29,634,104	27,528,508	34,062,447
სესხის ფარდობა კაპიტალთან, წმინდა	127%	111%	-4917%

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანიას აქვს ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, ამასთან გრძელვადიან სესხები აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში, რის გამოც უცხოური ვალუტის კურსი არის მნიშვნელოვანი კომპანიის ფინანსური რისკების დადგენაში და კურსის მერყეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

სავალუტო რისკის მგრძნობიარობა-ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ევროსა და ფუნტი სტერლინგის ლართან მიმართებაში 10%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 10% მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

31.12.2017

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი (1 \$=2.5922)	ევრო (1 EVRO=3.1044)	ფუნტი სტერლინგი (1 GBP=3.5005)	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	713,980				713,980
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,484,853				30,484,853
გადახდილი ავანსები	1,271,076				1,271,076
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-				-
სულ ფინანსური აქტივები	32,469,909	-	-		32,469,909

ფინანსური ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები		24,881,726			24,881,726
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,605,523	17,496	2,198,535	-	11,821,554
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,605,523	24,899,222	2,198,535		36,703,280
საბოლოო ნაშთი	22,864,386	(24,899,222)	(2,198,535)	-	(4,233,371)

31.12.2016

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი (1 \$=2.6468)	ევრო (1 EVRO=2.794)	ფუნტი სტერლინგი (1 GBP=3.2579)	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	854,110				854,110
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,893,696				1,893,696
გადახდილი ავანსები	8,563,034				8,563,034
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,233,538		-		1,233,538
სულ ფინანსური აქტივები	12,544,378	-	-		12,544,378

ფინანსური ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები		25,953,912			25,953,912
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,283,569	1,046	172,626	1,814	15,459,055
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,283,569	25,954,958	172,626	1,814	41,412,967
საბოლოო ნაშთი	(2,739,191)	(25,954,958)	(172,626)	(1,814)	(28,868,589)

31.12.2017	აშშ დოლარის ეფექტი 10%-იანი მგრძნობელობის განაკვეთით		ევროს ეფექტი 10%-იანი მგრძნობელობის განაკვეთით		ჯამური ცვლილები ეფექტი	
	ზრდა	კლება	ზრდა	კლება	ზრდა	კლება
	(2,489,922)	2,489,922	(219,854)	219,854	(2,709,776)	2,709,776

31.12.2016	აშშ დოლარის ეფექტი 10%-იანი მგრძნობელობის განაკვეთით		ევროს ეფექტი 10%-იანი მგრძნობელობის განაკვეთით		ფუნტი სტერლინგის 10%- იანი მგრძნობელობის განაკვეთით		ჯამური ცვლილები ეფექტი	
	ზრდა	კლება	ზრდა	კლება	ზრდა	კლება	ზრდა	კლება
	(2,595,496)	2,595,496	(17,263)	17,263	(181)	181	(2,612,940)	2,612,940

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანიას მნიშვნელოვანი სასესხო ვალდებულებები გააჩნია. სესხის ხელშეკრულების თანახმად დასაშვებია ძირითადი თანხა და პროცენტი გადახდილი იყოს ხელშეკრულების საბოლოო მოქმედების თარიღში, თუმცა ხელშეკრულების თანახმად შესაძლებელია წინასწარი დაფარვის უფლების გამოყენება. აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო თარიღია 15.06.2019. ამიტომაც კომპანიის მენეჯმენტმა განსაკუთრებული ყურადღება უთმობს ლიკვიდურობის რისკის ანალიზს და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ 31.12.2017
ფული და ფულის ექვივალენტები	713,980			713,980
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29,163,659	1,321,194		30,484,853
გადახდილი ავანსები	1,271,076			1,271,076
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-			-
სულ ფინანსური აქტივები	31,148,715	1,321,194	-	32,469,909
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		24,881,726		24,881,726
საგადასახადი ვალდებულებები	3,623,975			3,623,975
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,197,579			8,197,579
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,821,554	24,881,726	-	36,703,280

ლიკვიდურობის სხვაობა	19,327,161	(23,560,532)	-	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	19,327,161	(4,233,371)	(4,233,371)	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა მთლიან აქტივებთან მიმართებაში	29.05%	-6.36%	-6.36%	
ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ 31.12.2016
ფული და ფულის ექვივალენტები	854,110			854,110
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,893,696			1,893,696
გადახდილი ავანსები	8,563,034			8,563,034
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,233,538			1,233,538
				-
სულ ფინანსური აქტივები	12,544,378	-	-	12,544,378
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		25,953,912		25,953,912
საგადასახადი ვალდებულებები				-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,459,055	-		15,459,055
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,459,055	25,953,912	-	41,412,967
ლიკვიდურობის სხვაობა	(2,914,677)	(25,953,912)	-	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(2,914,677)	(28,868,589)	(28,868,589)	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა მთლიან აქტივებთან მიმართებაში	-4.23%	-41.87%	-41.87%	

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

სხვა ფინანსური მაჩვენებლები

	2017	2016
ავტონომიურობის კოეფიციენტი	44.54%	39.93%
აქტივების რენტაბელობა	2.8%	-10.8%
მიმდინარე აქტივების რენტაბელობა	4%	-12%
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა	6.4%	-23.7%
აქტივების ბრუნვაობის კოეფიციენტი	108.08%	79.1%

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი
- შესთავაზოს მეწილეებს ადეკვატური დივიდენდი, სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით.

საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიამ წლის განმავლობაში, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, მიიღო ლარის ოდენობის მოგება 1890558 ლარი მოგება, მოცემული თარიღისათვის კომპანიის მიმდინარე აქტივები აჭარბებს მის მიმდინარე ვალდებულებებს. მენეჯმენტის შეფასებით კომპანია, მიუხედავად მე-20 შენიშვნაში მოცემული განმარტებებისა, მომავალში განაგრძობს უწყვეტ ფუნქციონირებას, რაზეც მიუთითებს შემდეგი გარემოებები:

- კომპანია იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მომავალ პერიოდში გაუფასურების თავიდან აცილების მიზნით ეფექტურად მართოს ფინანსური ინსტრუმენტები.
- შეიმუშაოს მომსახურების გაყიდვების ახალი სტრატეგია .
- მეტი ყურადღება დაუთმოს სავალუტო რისკის მართვას

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან შესაძლო ურთიერთობების განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს. დაკავშირებულ მხარეებზე ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები არ არის განხორციელებული უმაღლესი ხელმძღვანელის გასამრჯელო შეადგენს - 22 500 ლარი.

მმართველობითი ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს „ბურჯი“ დარეგისტრირებულია (#5/4-3026) 27 ნოემბერი 2001 წელს. (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). იგი მდებარეობს ქ.თბილისში და მისი იურ./ფაქტ. მისამართია: ილია ჭავჭავაძის გამზ 39ა.

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა, ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით. 2017 წლის მდგომარეობით კაპიტალი 29 634 104 ლარია.

1998 წლიდან, კომპანია „ბურჯი“ სამშენებლო მომსახურების ერთ-ერთი უმსხვილესი პროვაიდერია საქართველოში, აქტივების, საერთო ბრუნვის და პერსონალის რაოდენობის თვალსაზრისით.

კომპანიის მომსახურებაში შედის: მაღალი დონის სრული პროექტირება, დაწყებული საესკიზო პროექტირებიდან, საბოლოო მუშა ნახაზების მომზადებამდე;

მაღალპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით აღჭურვილი კომპანია „ბურჯი“, ბევრი დეველოპერი და სამშენებლო კომპანიის საიმედო პარტნიორია.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენი კომპანია, რომელიც დაკომპლექტებულია 500-ზე მეტი თანამშრომლით, სწრაფად ჩამოყალიბდა სანდო სამშენებლო კონტრაქტორად. ჩვენს მიერ განხორციელებადი პროექტები ფართო არეალს მოიცავს საინჟინრო, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის დარგში. მათ შორის არის;

1. საზაფხულო საკონცერტო დარბაზი ურეკში.
2. ბათუმის დელფინარიუმი.
3. ჰერბარიუმი ბოტანიკურ ბარში.
4. კავკასიის ფრანგული სკოლა.
5. თბილისის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
6. სასტუმრო-კომპლექსი შეკვეთილში.
7. და სხვა

ჩვენ ვმოღვაწეობთ ყველა საპროექტო ფაზასა და სამშენებლო ციკლში, დაგეგმვა/პროექტირებით დაწყებული, სამშენებლო სამუშაოებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით.

უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენი კომპანია სხვადასხვა ადგილს იკავებს სამშენებლო ბაზრის წამყვან ხუთეულში, აქტივების, ბრუნვის და დასაქმებულთა რაოდენობის თვალსაზრისით.

კომპანია „ბურჯი“ დაიმკვიდრა სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი საიმედო კომპანიის მყარი რეპუტაცია. ჩვენი კომპანიის წარმატება პროექტის მართვაში პროფესიულ მიდგომას ეფუძნება.

ჩვენი ძირითადი საქმიანობა:

- მშენებლობის მართვის სრული პაკეტი;
- არქიტექტურული და სამშენებლო
- სამოქალაქო მშენებლობა;
- ნულოვანი ციკლის სამუშაოები;
- სახანძრო სიგნალიზაციის სისტემების პროექტირება და სამონტაჟო სამუშაოები;
- ბეტონის და ასფალტის მწარმოებელი ქარხანა;
- სამშენებლო / სპეციალური ტექნიკის გაქირავება/მომსახურება.

2. კომპანიის განვითარების გეგმები

ბიზნეს გეგმას ადგენს ადმინისტრაცია, გზებს სამომავლო გეგმის განსახორციელებლად. სამშენებლო კომპანია „ბურჯი“-ს მიზანია კავკასიის რეგიონში საერთაშორისო სამშენებლო სტანდარტების ინტეგრირება.

პროექტი პანორამა თბილისი მოიცავს ოთხი მრავალფუნქციური სასტუმრო-კომპლექსის მშენებლობას დედაქალაქის ცენტრში.

